



ქალაქ ფოთის ღია პირველობა ჭიდაობა ძიუდოში

2023 წელი

24 - 26 ნოემბერი

ქალაქი ფოთი, ნინო ჟვანიას N7

ხელბურთის დარბაზი

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურისა და

სპორტის სამსახური

საკონტაქტო პირი: ზურაბ ჩაკვეტაძე - 599 87 22 16

e-mail: cempsypoti@gmail.com

„ვამტკიცებ“

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის

კულტურისა და სპორტის

სამსახურის უფროსი



მურაბ ტიბუა

03 თებერვალი 2023 წ.

„შეთანხმებულია“

საქართველოს ძიუდოს ეროვნული

ფედერაციის პრეზიდენტი



გიორგი ათაბეგაშვილი

2023 წ.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

ქალაქ ფოთის ღია პირველობა ჭიდაობა ძიუდოში

1. პირველობის მიზანი და ამოცანები

- ქალაქ ფოთისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში ჭიდაობა ძიუდოს განვითარება და პოპულარიზაცია.
- ახალგაზრდების მასობრივი ჩართვა ჭიდაობის სექციებში.
- ნიჭიერი და პერსპექტიული ძიუდოისტების გამოვლენა.
- ძიუდოისტთა ოსტატობის დონის ამაღლება.

2. პირველობის ორგანიზატორები

- პირველობის ჩატარებას უზრუნველყოფს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერია და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურისა და სპორტის სამსახური.

3. პირველობის ჩატარების დრო და ადგილი

- პირველობა ჩატარდება 2023 წლის 24-26 ნოემბერს.
- გუნდების ჩამოსვლის დღე – 2023 წლის 24 ნოემბერი.
- აწონვები ჩატარდება 2023 წლის 25 და 26 ნოემბერს 9:00 სთ-დან 10 სთ-მდე.
- პირველობა დაიწყება 25 და 26 ნოემბერს, 11:00 საათზე.
- გუნდების უკან გამგზავრება – 2023 წლის 26 ნოემბერი.

4. პირველობაზე მონაწილე გუნდები, წლოვანებები და წონითი კატეგორიები

-- პირველობაზე მონაწილეობას მიიღებენ: ხობის, სენაკის, აბაშის, სამტრედიის, ჩხოროწყუს, ზესტაფონის, ბათუმის, ზუგდიდის, ქუთაისის, ხაშურის, ქარელის, გორისა და ფოთის ძიუდოსტთა ნაკრები გუნდები.

--25.11.2023 წ. – 2010-2011 წ.წ. დაბადებულები, 22, 24, 27, 30, 34, 38 კგ წონითი კატეგორიები.

--26.11.2023 წ. – 2010-2011 წ.წ. დაბადებულები, 42, 46, 50, 55, 60, +60 კგ წონითი კატეგორიები.

5. პირველობის ხარჯები და გუნდების მიღების პირობები

– პირველობაზე მონაწილე გუნდები ვალდებული არიან წარმოადგინონ შემდეგი საბუთები:

ა) პირველობაზე მონაწილე გუნდებმა პირველობის მსაჯთა კოლეგიას უნდა წარუდგინონ ექიმის მიერ შესაბამისი ბეჭდით დამოწმებული სახელობითი განაცხადი და პირადობის დამადასტურებელი მოწმობა.

ბ) პირველობას მოემსახურება ძიუდოს ეროვნული ფედერაციის მიერ დამტკიცებული მსაჯთა კოლეგია.

გ) პირველობა უზრუნველყოფილი იქნება ვიდუო გადაღებით.

დ) პირველობა ჩატარდება ძიუდოს საერთაშორისო წესების მიხედვით.

ე) მოჭიდავეებისა და მწვრთნელების მგზავრობის, ბინისა და კვების ხარჯებს გაიღებს მიმავლინებელი ორგანიზაცია.

ვ) მსაჯებისა და ვიდუო ოპერატორის მგზავრობის ხარჯებს გაიღებს მიმავლინებელი ორგანიზაცია, ხოლო მსაჯობისა და ვიდუო გადაღების ანაზღაურების, ასევე მათი ბინისა და კვების ხარჯებს – ღონისძიების ორგანიზატორი მხარე.

ზ) თითოეულ მოჭიდავეზე სასტარტო შენატანი შეადგენს 20 ლარს. სასტარტო შენატანი გთხოვთ შეიტანოთ რეგიონალური ძიუდოს ფედერაციის ანგარიშზე:

საქართველოს ბანკი, სამეგრელო-ზემო სვანეთის ძიუდოს-სამბოს ფედერაცია, საინდივიდუალური კოდი – 420428317, ანგარიშის ნომერი GE50BG000000498898652 GEL, ბანკის კოდი BAGAGE 22.

თ) გუნდი წარმოდგენილი უნდა იყოს მოჭიდავეებით, მწვრთნელით და წარმომადგენლით. დებულება ითვლება ოფიციალურ მოწვევად.

6. დაჯილდოება

– მოჭიდავეები, რომლებიც წონითი კატეგორიების მიხედვით დაიკავებენ საპრიზო ადგილებს, დაჯილდოვდებიან მედლებით, დიპლომებითა და თასებით.

კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ქალაქ ფოთში!

გისურვებთ წარმატებულ ასპარეზობას!